საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№49 (6275) შაბათი 21 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის საპირველმაისო მოწოდება

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

2. საბჭოთა ადამიანებო! გავაერთიანოთ ძალები ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის შექმნისათვის!

3. კომუნისტებო! კონკრეტული საქმეებით დაამკვიდრეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავანგარდული როლი!

იბრძოლეთ პრინციპულ საფუძველზე პარტიული რიგების კონსოლიდაციისათვის!

4. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნაში!

5. სახალხო დეპუტატებო! პატიოსნად და პასუხისმგებლობით ემსახურეთ მშრომელთა ინტერესებს!

6. თანამემამულენო! მხარი დავუჭიროთ ქვეყანაში ვითარების ნორმალიზაციისათვის სსრ კავშირის პრეზიდენტის ძალისხმევას!

მთელი ჯანსაღი გარდამქმნელი ძალების კონსოლიდაცია დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობის გარანტიაა!

7. სსრ კავშირის მშრომელებო! დავაჩქაროთ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა — ჩვენი კეთილდღეობის საწინდარი!

8. საბჭოეთის მუშებო! კომუნისტთა პარტიას თქვენი შეგნებულობისა და ორგანიზებულობის, გარდაქმნის საქმის ერთგულების იმედი აქვს!

9. სოფლის მშრომელებო! განახორციელეთ მიწის შესახებ კანონი! თქვენს გლეხურ შრომაზეა დამოკიდებული სასურსათო პრობლემის გადაჭრა, თითოეული ოჯახის კეთილდღეობა!

10. მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეებო! გარდაქმნას უაღრესად სჭირდება თქვენი ინტელექტი და სულიერი მოსაგრეობა!

11. კოოპერატივების მუშაკებო! ამრავლეთ თქვენი წვლილი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში, საქონლითა და მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში!

12. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ შრომაში, დაეუფლეთ ცოდნას, ისწავლეთ სახელმწიფოს მართვა! თქვენს ხელთ არის სამშობლოს მომავალი.

13. საბჭოთა ქალებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საბჭოთა საზოგადოების განახლებაში!

აღზარდეთ ჯანსაღი ღირსეული ცვლა!

14. სსრ კავშირის მოქალაქენო! საბჭოთა ფედერაციის ძირეული გარდაქმნა და განმტკიცება ქვეყნის ყველა ხალხის აყვავების მაგისტრალური გზაა! გადაჭრით დავგმოთ ნაციონალისტური და სეპარატისტული ძალები.

15. ქება და დიდება საბჭოთა ხალხს, რომელმაც დაიცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში!

გულითადად ვულოცავთ პირველ მაისს ომისა და შრომის ვეტერანებს, ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალებს!

16. ვსოლიდარობთ მთელ მსოფლიოში სოციალური პროგრესის, დემოკრატიისა და მშრომელთა უფლებებისათვის მებრძოლებს!

17. საპირველმაისო სალამი საზღვარგარეთის სახელმწიფოების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მთელ დემოკრატიულ ძალებს!

18. დედამიწის ხალხებო! ვამრავლოთ ძალისხმევა კაცობრიობის საერთო პრობლემების გადაჭრისათვის, პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად!

ნუ მოგვშლოდეს საკაცობრიო ღირებულებანი!

გაუმარჯოს მშვიდობას, პლანეტის ყველა ხალხის ნდობასა და თანამშრომლობას!

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომში

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი სახალხო დეპუტატთა ოყურეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის დეპუტატთა ჯგუფისა და კომისიების მუშაობის პრაქტიკისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ მიუხედავად გატარებული ერთგვარი მუშაობისა დეპუტატთა ჯგუფისა და მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობა ხასიათდება ხარვეზებითა და ნაკლოვანებებით. დაბალია მათ მიერ ჩატარებული სხდომების დონე, მიღებული გადაწყვეტილებები ზერელეა, არ ატარებს კონკრეტულ ხასიათს, ამასთან არ ხორციელდება მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი, სათანადო დონეზე არ დგას დეპუტატთა ანგარიშების პრაქტიკა გაწეული მუშაობის თაობაზე. ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებით არ ეკიდება კომუნისტი დეპუტატების საქმიანობას. სასოფლო საბჭოს აღმასკომი ვერ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ოყურეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის სტილი და მეთოდები ჯერ კიდევ ვერ პასუხობს დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს, ხოლო პარტიული ორგანიზაცია სათანადო მომთხოვნელობას და კონტროლს ვერ უწევს ადმინისტრაციას და ვერ სახავს კონკრეტულ გზებსა და მიმართულებებს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

რაიკომის ბიურომ სახალხო დეპუტატთა ოყურეშის სასოფლო საბჭოს აღასკომის დეპუტატთა ჯგუფისა და კომისიების მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად და დასახა ღონისძიება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი მშრომელთა შორის კანონისა და სამართლის პროპაგანდის მიზნით სამართალდამცავი ორგანოებისა და №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოებისა და 91-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. მათ ვერ გარდაქმნეს მუშაობა იმ თვალსაზრისით, რომ კანონმდებლობის საფუძვლებისა და კანონის ცოდნა იქცეს სამართლებრივი საკითხების პროპაგანდის ამოსავალ წერტილად.

უეფექტოა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სამართლებრივი აღზრდის მიზნით გაწეული მუშაობა. არ იკლებს ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეთა რაოდენობა. ბოლო ორ წელიწადში ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთა მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს.

სამართალდამცავი ორგანოების პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა სამართლებრივი პროპაგანდის თვალსაზრისით ძირითადად ლექციური პროპაგანდით და სამართლებრივ თემებზე საუბრებით შემოიფარგლება. არ აწყობენ გამსვლელ მიღებებს, სუსტია კონტროლი ქვემდებარე სამსახურებისადმი, განსაკუთრებით კიუბნის ინსპექტორებისადმი.

პროფილაქტიკურ-პროპაგანდისტული ღონისძიებების განუხორციელებლობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ 1989 წელს, წინა წელთან შედარებით 7 ერთეულით გაიზარდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ჯერ კიდევ გაუხსნელია 25 სისხლის სამართლის საქმე. ფაქტიურად თითქმის არაფერი კეთდება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. განსაკუთრებით ამ მიმართებით ცუდი მდგომარეობაა სახელმწიფო ავტოინსპექციის ხაზით.

რაიკომის ბიურომ მშრომელთა შორის კანონისა და სამართლის პროპაგანდის მიზნით სამართალდამცავი ორგანოებისა და 91-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად და დასახა ღონისძიება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

განიხილა რა საკითხი—საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე კონფერენციისათვის მზადების შესახებ, პარტიის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე კონფერენციისათვის მზადების ღონისძიებათა გეგმა.

პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხებზე.

გადაწყვეტილება ქაღალდზე რჩება

1989 წლის ოქტომბერში სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ ცაგერში ორჯონიკიძის, კიროვის, პარტიზანთა, სანაპიროს, მახარაძის ქუჩების სახელწოდებათა შეცვლისა და მათთვის შესაბამისად თავისუფლების, ვ. გოლეთიანის, დავით აღმაშენებლის, 9 აპრილის და თამარის სახელების მინიჭების შესახებ. აღმასკომმა კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატს დაავალა მოეგვარებინა ამ საკითხის ტექნიკური მხარე. მას შემდეგ დღე დღეს მისდევს, კვირა-კვირას, თვე-თვეს, ჩვენს ქუჩებს კი ისევ ძველი სახელები „ამშვენებენ“. ასე რომ, პრაქტიკულად ცაგერის მოსახლეობის, მიტინგის მონაწილეთა მოთხოვნები შეუსრულებელია, რადგან თუმცა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ძალაშია, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე. საინტერესოა ვის ევალება მის შესრულებაზე კონტროლი? ვფიქრობთ, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობას და უზრუნველყოს ღონისძიებათა ოპერატიულობა.

რომ არავინ და არაფერი დავივიწყოთ

ეღელვარე დღეთა ფურცლები

გუშრგის მშრომელთა თავდადება

ცაგერის რაიონის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამ მძიმე განსაცდელის ჟამს მაღალი ორგანიზებულობა, გმირული მემართება, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება გვიჩვენეს. ისინი მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდნენ წითელ არმიასა და ფლოტს. დღედაღამ თავდადებით შრომობდნენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში, სულ უფრო მეტი რაოდენობით აწვდიდნენ ფრონტს სურსათ-სანოვაგეს, აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა იმ სახალხო-პატრიოტულ წამოწყებაში, რომლის მიზანსაც წითელი არმიის განმტკიცება, მისი ყოველმხრივი მომარაგება შეადგენდა.

— ომის წლებში რაიონის კოლმეურნეობებმა, საწარმო-დაწესებულებებმა, კოლმეურნეებმა და მუშა-მოსამსახურეებმა სამშობლოს დაცვის ფონდში შეიტანეს ასიათასობით მანეთი, ასობით ცენტნერი ხორცი, ყველი, მარცვლეული, საბჭოთა არმიის მებრძოლებს გაეგზავნა დიდი რაოდენობით თბილი ტანსაცმელი, სხვა ნივთები. მინდვრის მომქანცველი სამუშაოებიდან გვიან საღამოს შინდაბრუნებული ქალები ხშირად მთელ ღამეებს თეთრად ათენებდნენ, თბილ წინდებს, ხელთათმანებს ქსოვდნენ ფრონტზე მყოფთათვის. ვისაც ცხვარი არ ჰყავდა, მატყლს თავისი საწოლი ლეიბიდან და ბალიშიდან იღებდა, თავისთვის ყველაფერს იკლებდნენ — არაფერს ზოგავდნენ სამშობლოს დამცველთათვის. ეს იყო უმაღლესი პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი თავდადებისა და ერთგული სამსახურის ნამდვილი გამოხატულება.

— ფრონტიდან მრავალი სამადლობელი წერილი მოდიოდა. წითელარმიელი შულიაკი ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნეს თამარ ბიჭიას ასულ ლიპარტელიანს 1942 წლის ნოემბერში წერდა: „ჩემო ძვირფასო ცეთილო ქალო! წარმოდგენა არა მაქვს თქვენს ასაკზე, არ ვიცი როგორ მოგმართოთ, რა გიწოდოთ—დედა, და თუ ბებია. თქვენი მადლიანი ხელებით მოქსოვილი თეთრი თბილი წინდები მე მხვდა წილად. შიგ წერილს წავაწყდი, ვერაფერი გავიგე, ჩემთვის უცნობ ენაზე იყო დაწერილი. წერილი ამხანაგებს ვაჩვენე. ძმობილო, ეს ქართულია, ჩემი სამშობლოდან არის გამოგზავნილი, მითხრა სერჟანტმა ხოტივარმა და წერილი გადამითარგმნა. გულწრფელ მადლობას გითვლით. საქართველოში არ ვყოფილვარ. მაგრამ თქვენი კეთილი ხალხის შესახებ ბევრი რამ გამიგია ჩემი ქართველი მებრძოლი მეგობრებისაგან. მე ბელორუსი ვარ, მინსკის ახლოს დავიბადე და აღვიზარდე. ომის დროს გამიწვიეს არმიაში. ახლა 19 წლის ვარ. ჩემი უფროსი ძმებიც ფრონტზე არიან. დედ-მამისა და დის შესახებ ომის დაწყების შემდეგ არაფერი ვიცი. იწერებით, ვინც ამ საჩუქარს მიიღებს, ათი ჰიტლერელი მაინც უნდა ჩააძაღლოს. მტკიცე მეომრულ სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენი დავალება ათმაგად იქნება შესრულებული. სანამ პირში სული მიდგას, სანამ შაშხანის ხელში აღება შემიძლია, თავს არ დავზოგავ ფაშისტ მოძალადეთა გასანადგურებლად, ჩემი საყვარელი სამშობლოს დასაცავად. ვასილ შულიაკი“.

— 1942 წლის ოქტომბერი. ცაგერის მშრომელთა დელეგაცია სვანეთის მთებში განლაგებულ 242-ე სამთო მსროლელთა დივიზიის მებრძოლებს ესტუმრა დიდძალი საჩუქრებით და სურსათით. რაიონის წარგზავნილებმა დივიზიის მეთაურს გიორგი ყურაშვილს გადასცეს ზურგის მშრომელთა გულთბილი წერილი — მოწოდება წითელი არმიის მეომრებისადმი, რომელიც დიდი ინტერესით განიხილეს ქვეგანაყოფებში. მასში ნათქვამი იყო: „გათავხედებული მტერი შემოჭრას ლამობს. იგი ჩქარობს, არავითარ მსხვერპლს არ ერიდება იმისათვის, რათა ზამთრის დადგომამდე ხელთ იგდოს ჩვენი აუვავებული მხარე. ეს არასოდეს მოხდება. თქვენით ამაყობს ჩვენი სამშობლო. თქვენ დღეს იმედით შემოგყურებენ თქვენი დედები და მამები, ცოლები და შვილები, დები და ძმები, ნათესავები და ახლობლები. გზა გადაუღობეთ მტერს, მტკიცედ ჩაკეტეთ საქართველოსკენ მომავალი ყველა გზა და ბილიკი. ჩვენ ჩვენი მხრივ მტკიცე სიტყვას გაძლევთ, რომ ვალში არ დაგრჩებით, თავს არ დაგზოგავთ, შეუძლებელს გავაკეთებთ რათა დახმარება არ მოვაკლოთ ჩვენს მამაც შეიარაღებულ ძალებს“.

დიახ, უაღრესად მძიმე და დაძაბული წლები იყო. უჭირდა, ძალიან უჭირდა მაშინ ხალხს, ბევრი ოჯახი შიმშილობდა. საპონი, მარილი, ნავთი, ასანთი სანატრელი გახდა. მიუხედავად ამისა, ისინი სიმხნევეს არ კარგავდნენ, პანიკას არ ეძლეოდნენ, დამშვიდებით შრომობდნენ, სწამდათ გამარჯვება და ყველაფერს აკეთებდნენ მისი მოახლოებისათვის.

1942 წლის ზაფხულში მტერი კავკასიის მთებს, მათ შორის ზემოსვანეთის საზღვარს მოადგა, შეიქმნა სერიოზული საფრთხე ფაშისტთა შემოჭრისა საქართველოში. მთელი ხალხი აღსდგა სამშობლოს დასაცავად. ცაგერის რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ფრონტისადმი დახმარება. მტრის მოახლოებამ ვერ შეარყია მათი რწმენა გამარჯვებისადმი. ამ მრისხანე ჟამს ბევრმა ცაგერელმა მოხალისემ სამხედრო ფორმა ჩაიცვა, იარაღს მოკიდა ხელი და ბრძოლის ველზე გაეშურა. ცაგერის რაიონის ტერიტორია ფრონტისპირა ზოლად იქცა. ქვემეხების მძლავრი გუგუნი ლეჩხუმის ბევრ სოფელში ისმოდა... მტრის მოახლოებასთან დაკავშირებით რაიონში მნიშვნელოვნად გაძლიერდა თავდაცვითი სამუშაოები. ამ სამუშაოებზე ყოველდღიურად ასობით კოლმეურნე გამოდიოდა თავისი გამწვანე ძალითა და სასოებით. ესენი ღამეებს შრომობდნენ თავდაცვითი ზღუდეების ასაგებად.

—მტერი ჯაშუშურ-დივერსიულ საპარაშუტო დესანტებს ასხამდა ახლომახლო რაიონებში. და პარტიის ცაგერის რაიკომის ბიურომ სპეციალური დადგენილება მიიღო გერმანელ ჯაშუშებთან და დივერსანტებთან ბრძოლის ორგანიზაციის შესახებ. კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში დაწესდა გამანადგურებელი ბატალიონის წევრების, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირული აქტივის სადღეღამისო მორიგეობა, საჰაერო მეთვალყურეობის პუნქტები მოეწყო წყალტუბოს, გუდულაშის, ლაილაშის წვერზე, საკარასტინოზე, წითურის მთაზე... გარდა ამისა, სპეციალური საგუშაგოები მოეწყო ნაკურალეშში, დეხვირში, კენაშში, ცხუკუშერში, ოფიტარასა და რაიონის სხვა მაღალ მთიან სოფლებში. გამანადგურებელ ბატალიონში (უფროსი— აქვსენტი ბუკულას ძე გუგავა), რომელიც ყაზარმულ მდგომარეობაში გადაიყვანეს, დიდი და დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. ბატალიონის წევრების და ადგილობრივი მოსახლეობის სიფხიზლისა და გაბედულობის შედეგი იყო გოლაიას მთაზე მტრის დესანტის განადგურება. ცაგერის გამანადგურებელი ბატალიონის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მტრის დესანტის განადგურებაში ლენტეხის რაიონის სოფლებში: ნანარსა და ხოფურში, მათ, მწყემსების დახმარებით მტრის დესანტები გაანადგურეს კოხილაშის ფერმაში... მტრის დესანტებთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბატალიონის წევრებმა: აქვსენტი გუგავამ, მექი მანდარიამ, დიომიდე ფუტკარაძემ.

(გაგრძელება იქნება).

დასაწყისი. დასასრული იხილე №18

კოღეგები გვწერენ

ნიჭიერ შემოქმედთა ოჯახი

ჭართული თეატრის სიყვარულს ლეილა სიმონის ასული ლეთოდიანი თავის მშობლიურ რაიონში ცაგერში ეზიარა. ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებულმა მუშაობა დაიწყო სარაიონო კულტურის სახლში ბუღალტრად. იმდენად ძლიერი იყო ლეილას სიყვარული და ლტოლვა სცენისადმი, რომ სულ მალე ცაგერის სახალხო თეატრის დასის აქტიური წევრი გახდა. ახალგაზრდა სცენისმოყვარემ რაიონის სახალხო თეატრის სცენაზე ორმოცამდე როლი განასახიერა. გულთბილად მიიღო მაყურებელმა მის მიერ შესრულებული როლები, ხოლო მსახიობი შეიყვარა, როგორც ინდივიდუალური ნიჭის მქონე შემოქმედი.

ცაგერის სახალხო თეატრის დასში მუშაობის პერიოდში ლეილას მიენიჭა რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება.

ლ. ლეთოდიანი სხვადასხვა დროს მუშაობდა ცაგერის საერაიონო კულტურის სახლის ინსტრუქტორად, მეთოდისტად.

თეატრალური ხელოვნებისადმი მსახურების დროს გაიცნეს ერთმანეთი ლეილამ და ახალგაზრდა რეჟისორმა ლევან კუპრაშვილმა, რომელსაც შემდეგ თავისი ცხოვრების ბედი დაუკავშირა. სულ მალე ახალგაზრდა ოჯახი ტყიბულში დამკვიდრდა. ტყიბულელები იცნობენ ლევანს როგორც პატიოსან, შრომისმოყვარე და თავისი საქმის მცოდნეს.

რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატის ლ. კუპრაშვილის დადგმები დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში.

მეუღლესთან ერთად ლეილა ლეთოდიანმა მრავალი სახასიათო როლი შექმნა ტყიბულის კულტურის სახალხო თეატრის სცენაზე, კერძოდ, ქსენია (ა. აბდულინის „მეცამეტე“ თავმჯდომარე“), ევა (ე. გაბესკირიას „უფსკრულიდან“), გურანდუხტი (ს. ბოკერიას „დალი“), ფატი(ალ ჩხეიძის „შთამომავლობა“), მუზა (კ. ბუაჩიძის „პროვინციელი ქალიშვილები“), თამარი (ვ. თოდაძის „სიხარულის ცრემლები“), სექსბომბა (ს. რამეტის „რიმინალური ტანგო“), მარჯა (ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“). ლეილას მიერ განხორციელებული ნებისმიერი როლი გულთბილ და მხურვალე მოწონებას პოულობს ტყიბულელ მაყურებელთა შორის.

თეატრის სიყვარულით სავსე კუპრაშვილების ოჯახი, ვუსურვებთ მათ წარმატებებს შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.

ლეჩხუმელი ლეილა ლეთოდიანი ტყიბულელთა საყვარელი რძალი და მსახიობია.

გოდერძი მოდებაძე.

გაზეთ „ტყიბულის“ კორესპონდენტი.

ეს სირცხვილია!

ალნიშნულ ფოტოზე, ერთი შეხედვით, წლობით ნაზარდ-ნაფერები ხეხილის ბაღი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში კი იგი გახრულ-განადგურებული ვაშლის ხეებია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გახშირდა ზვარისა და ხეხილის ბაღების განადგურების ფაქტები. ნაცვლად იმისა, ახალი გავაშენოთ, საომომავლო საქმე ვაკეთოთ, რაცა გვაქვს, იმასაც ვანადგურებთ.

ამის საილუსტრაციოდ ლასურიაშის კოლმეურნეობის ჭალის მეცხოველეობის ფერმასთან არსებული ხეხილის ბაღიც გამოდგებოდა (სურათზე).

ბაღის 60 ძირზე მეტი მსხმოიარობაში შესული ვაშლის ხის შტამბი პირუტყვისაგან ისეა დახრულ განადგურებული, ადამიანი გულგრილად ვერ ჩაუვლის გვერდს.

ხეხილის ბაღი კოლმეურნეობის№ 2 და №3 ბრიგადების (ხელმძღვანელები ა. მუშკუდიანი და ბ. მუშკუდიანი) მოიჯარეებს აქვთ მოსავლელად ჩაბარებული, რომლებმაც გასული წლის შემოდგომიდან, მოსავლის აღების შემდეგ მიატოვეს და არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ამაზე მეტი დანაშაული რაღა უნდა იყოს, როცა დარგულ-გახარებულსაც ვეღარ ვპატრონობთ?

ზ. გზოგავას ფოტო.

ლიტერატურული

გვერდი

ცისფერი სარწყული

ჩვენი გაზეთი ხშირად უთმობს ადგილს პოეტურ, მხატვრულ სიტყვას. ქვეყნდება რაიონის მკვიდრთა ლექსები, ჩანახატები, მოთხრობები. დღეიდან მათ ავტორებს უმასპინძლდება ლიტერატურული კლუბი „ცისფერი სარწყული", რომელიც თვეში ერთხელ გამოვა გაზეთის ფურცლებზე.

კლუბის პირველი გამოშვება ახალ ავტორსაც გაგაცნობთ. უთუოდ შენიშნავთ ალკანელი ჰაგუკის ტარიელ ფრუიძის საინტერესო პოეტურ ხედვას. დაჯგედეგოდეს ახალ კლუბს ქართული სიტყვის მადლის შეგრძნება და მფარველ ექმნეს პოეზიის ამაყი მუზა.

სადღეგრძელო

ამივსეთ თასი ღვინოში მოლივლივე მზის სხივით,
ამივსეთ თასი სიკეთით, სიყვარულით, ხალისით,
ამივსეთ თასი გაზაფხულის პირველი სუნთქვით
და სადღეგრძელო
მოვა თავისით.
შემომკეთ თავი თვალღიმილა ია-იებით,
ვარდის ფურცლების ფიალებში ღვინო დამისხით,
ტანზე ჩამაცვით ენძელებით ნაქარგი კაბა
და, სადღეგრძელო
მოვა თავისით.
ამივსეთ თასი ტირიფების სევდის ნაუურით,
ამივსეთ თასი უკეთესი ხვალით, გაისით,
მასუნთქებინეთ მკერდგახსნილი მიწის სურნელი
და, სადღეგრძელო
მოვა თავისით.
ამივსეთ თასი სიყვარულით, სიკეთით, რწმენით,
მერცხლის ჭიკჭიკით, გამსკდარ კვირტის თრთოლვა-ხალისით,
და სადღეგრძელო ამ ცის, ამ მიწის,
ამ გაზაფხულის მშვენიერების,
მოვა თავისით.

იზოლდა მანდარია.

სიზმარი

მე დამესიზმრა, თითქოს აპრილმა
ააყვავილა ალუჩის ტოტი.
თითქოსდა სულიც გამოაპრილდა
და ოცნებებით ზეცაში ვჭროდი.
მესიზმრა, თითქოს ცისფრად გაწვიმდა
და ბნელი ღამე ნიღაბს ირგებდა,
მერე უეცრად შავმა აჩრდილმა
ლურჯი ბილიკი გადამიკეტა.
ეფარებოდა ვარსკვლავი მთვარეს,
გამწესებული სიზმრის დარაჯად.
ღამის სამეფო ვნებიან თვალებს
ურცხვად აპყრობდა შიშის დარაბას.
მე დამესიზმრა, თითქოს აპრილმა
ააყვავილა ალუჩის ტოტი.
თითქოსდა სულიც გამიაპრილდა
და ოცნებებით ზეცაში ვჭროდი..

დიდი მომავალი მოდის

სალაპარაკო გვაქვს ბევრი,
მაგრამ გრძელი ითქმის მოკლედ...
მაშინ მრავლდებოდა ერი,
როცა გვახარებდა ცოტნე,
როცა არსებობდა მღვდელი,
როცა წირვას გავდა წირვა,—
მტერი გვესეოდა მლრღნელი,
მაინც გადაგვქონდა რისხვა.
რისთვის შეგვწირა თავი,
დიდი მოურავის ბიჭმა,
ან რა აშფოთებდა დავითს?!—
ჩვენ თავს დავუუენოთ კითხვა.
ანდა ოთხმოცი წლის მხედარს,
რა არ ასვენებდა შინ, და
რატომ დაეძებდა ცხედარს
დედა, როცა ტყვიებს წვიმდა!
ათჯერ დაჩეხილი ძვლები,
რატომ მოჰკიოდნენ მავანთ,
მუდამ, როგორც ღვიძლი ძმები,
ერთად გადიოდნენ სავალს.
—ჩემს თავს დავუყენე კითხვა,
პასუხს დაველოდე მევე...
ბევრი გადაგვქონდა რისხვა,
უცადს შევეგუეთ ჩვენებს.
ჩვენთვის იარსებეს მათ და
სისხლი დაიცალეს ჩვენთვის,
განა იბერია გაქრა?!
—არა! იარსებებს ღმერთი.
—არა! გვაზიარებს ქრისტე,
წირვა ჩატარდება შობის,
დროთა ისტორია გვისტვენს,
—დიდი მომავალი მოდის!

* * *

—როდიდან იწყება სიკვდილის შიში?
—დაბადებიდან...
—ცხოვრება ნეტა მართლა თუა ვაი და ვიში,
გამაგებინა...
სიკვდილს ვერ ვჯობნე, მის გამძლე თვალებს
დავემორჩილე შიშშეპარულმა,
ვერვინ მიშველა, „ბართლომეს ღამეს"
ამოდ ვცდილობდი მესიყვარულა.
მზე ჩაესვენა... მინდა ყვირილი,
მაგრამ ღამეა, დავდივარ ბნელში...
შემომესმება მიწის ტირილი,
წამოვიჭრები ჩირაღდნით ხელში,
და გავუძღვები ახალ თაობას,
ფარ-ხმალთ გავცვითავთ ქართლის ველებზე,
ალბათ შევიძლებ ისევ მამობას,
ისევ ვიმღერებთ არაგველებზე
ბუკით, ნაღარით, მსუსხავი მზერით,
გული საგულეს უცემთ მართველებს,
ჭირში და ლხინში „შავლეგოს" მღერით,
შემოგევლებით ყველას, ქართველებს!

ტარიელ ფრუიძე.

* * *

საბრალო ძაღლი,
მართლა ძაღლური მისი ცხოვრება,
ერთი ნაჭერი, გამხმარი პური თუ გადაუგდე,
ფეხთ გაგეგება
და კუდის ქიცინს არ გაათავებს.
საბრალო ძაღლი!
ნუთუ სიკვდილი არ ურჩევნია ასეთ ცხოვრებას?

ნანა აკობიძე.

აღარ დაკეტოთ

გამოანგრიეთ ეს კედელი.
არაფრისმთქმელად ამოუქოლავთ
უმწეო ქარებს.
დღეს გაზაფხული ჩვეულებრივ
შემოდის ჩემში,
სადაც შარშანდელ ყვავილებთან
მღერის სხეული.
ახლა სიყვარული შენს
ძარღვებში თეთრად ანთია,
აღარ დაკეტოთ ღია სარკმელი,
აღარ დაკეტოთ ღია კარები,
რადგან აღარავის შეუძლია
თქვენთან შემოსვლა.

* * *

საფლავო მითხარ,
რა მიგაქვს ჩემი მჩატე
სხეულიდან,
დაღლილ ფიქრიდან,
უაზროდ მობუტბუტე ტუჩებიდან,
მე აღარ ვარ ის მყუდროება,
მე აღარ ვარ ის ახალი ქარი,
უკვე მოძველდნენ ჩემს ტოტებში
ნედლი ხავსები,
საფლავო მითხარ,
ეს ბალახების მყუდროებაა
თუ სამყარო ისევ იღამებს.
ახლა ცრემლებიც ველარ
შველიან შეკრეჭილ სხივებს
ჩემს ფერხთით რომ
ჩამოცვივდნენ,
მე აღარ ვარ ის მეოცნებე,
მე აღარ ვარ ის ვარსკვლავი
გადმომძახეთ და გაუჩინარდით,
ჩემს ზურგსუკან რჩება ეს სამყარო
უცნაურმა ქაცმა რომ
გამოიგონა...

მთვარისა ბენდელიანი.

იქნებ დუმილმა თქვას...

ვიცი, მელოდი... მოვყევი
ქარებს...
ახლა მიამბობ უცნაურ მითებს—
რა შეუძლიათ ცრემლიან
თვალებს,
რა შეუძლიათ გაყინულ თითებს...
გაჩუმდი! — ამბობს შენი
თვალებიც
რომ ვერ ვუშველით დღეებს
გაფრენილს.
გაჩუმდი-მეთქი, გემუდარები,
იქნებ დუმილმა თქვას
ყველაფერი...

* * *

ერთი ღიმილი მრავალგვარია:
ზოგისთვის—სევდა,
ზოგისთვის რისხვა,
ტანჯვა, წამება,
ოცნება, ღმერთი,
მრავალგვარია ღიმილი ერთი...
ზოგმა იმდენი იხარა ერთად
რომ მუდმივ ღიმილს
ვერ ფარავს ახლა...
ზოგი კი ისე ეწამა ქვეყნად,
მისთვის ღიმილი ოცნება გახდა.
ვინ—კეთილ სახეს ნიღბად
იყენებს,
იღიმება და კბილი აქვს თეთრი.
ღმერთო, ისეთ დროს თუ
დაგვიყენებ,
ერთ აზრს რომ ფლობდეს
ღიმილი ერთი.

მაყვალა კოპაღიანი.

სუსტი

სულიც მოუკლა და სხეულიც
სიყვარულისთვის სასჯელი ამხელა?
ღმერთო დიდებულო, თუ შენი კანონია,
ვინმემ ცოცხალ ვარ, მრცხვენია გამხელა,
ჰო, ვინემ, აბა, ვინ გაცლის ამდენ ხანს,
თორემ ხვალ, ეგებ, წამოდგეს რუსთაველი,
გაგვარჩევინოს სჯულდება, სამართალი,
მერმეთ ზეციერს მიმართოს ვედრებით, —
აკი, პოეტი შუამავალია ცასა და ქვეყანას შუა...
ეგებ შეცვალოს ღმერთმაც, რაიც სცოდა,
„ნატვრის ხის" მარიტა მკვდრეთით აღადგინოს,
უზნეობად მიითვალოს უგრძნობო ცოლ-ქმრობა,
ნაგრძნობი შეყვარება—ზნეობად დაადგინოს!
... სიძულვილისათვის რაიღა დაიტოვე?!
სიყვარულისათვის სასჯელი ამხელა?!
ღმერთო დიდებულო, დაბრმავდი თუ რა,
მოგიკვდე, თუ არ მრცხვენოდეს გამხელა.

უფრო სუსტი

ხელახლა წვეთავს ცივი ოცნება,
ღმერთო, სად ვიქნებით ხვალ...
დღემდის შეუგრძნობი ცრემლთა დინება
და ურჩი სიწყვდიადე მხრავს,
პირველად ვეძებ გზას გასაქცევარს,
სულის—ძონძებისაგან ხსნას,
ფერთა აღყვავებას რწმენით ველოდი
და... რა დროს ვეჰიდები ხავსს,
მხვენარ-თაყვანისცემას მრავალგანაბრძოლი,
მიკვირს, რად ვერ დაგხვდი მზად
(თუმცა დიდხანს გაგიძალდი ბრმად)
შენგნით დავიწყებულ აბობოქრებას
ველარ დავაყენებ გზად,
ეხ, რაღა შეარიგებს სულსა და სხეულს,
ტყუილად ვუწბილებდი სხვას...
აღმოჩენის მერმეთ ხათრით ნაყვარებმა
ვა, თუ შემატოვო ხრაშს,
გვიან აღმოჩენილ ჩემთა საფერებლებს
შენდა დარჩენიღა ხამს...
„წვეთავს და შხეფავს ცივი ოცნება",
ღმერთო, რად ვიქცევით ხვალ?

საშუალო

რა დროს სიყვარულია, მოუკვდეს მომგონი,
თუმცა ვინ მოგვცა უფლება, თუნდაც გიყვარდეს,
არც თავდაცვის უფლება დაგვიტოვა ვინმემ,
არც იმის თავისუფლებას რომ ინატრებ...
ინატრებ და დარდს გაუმხელ ხელისუფლებას?
როგორც წინათ, ახლაც აღგდომის კვერცხს დაგვიმსგავსებენ
საქართველოს,
ხუნდებს და მსხვილ თოკებს გაამზადებენ სიმართლის დასაბმელად
სიძულვილს დაგვითესენ „ინტერნაციონალიზმის" სანაცვლებოდ...
აბა, რაიღა ვქნათ, აღარ გვიყვარდეს სტუმარი მაინძლად ქცეული?
ვის ვეკითხებით, ვინაა თუნდაც პასუხის გამცემი!
ბოროტებას ბოროტებით ვერ გადავიხდით—ქართველები ვართ და...
ვერც შევიძულებთ, მეტი ნუ ყოფილა მტერი ჩვენი.

ლელა ლომთაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებიდან გვატყობინებენ

ბანდიტური თავდასხმა

მიმდინარე წლის 31 მარტს ღამის 03 საათზე გამოძიებით ჯერ კიდევ დაუდგენელი ოთხი პირი, რომელთაგან ერთი იყო ნიღბით, ყაჩაღურად თავს დაესხა სოფელ ლაჯანაში მცხოვრებ აქვსენტი ლაკვეხელიანის ოჯახს, საიდანაც გაიტაცეს 270 მანეთი.

დამნაშავეთა ძიება მიმდინარეობს.

სავალალო შედეგი

15 აპრილს, აღდგომა დღეს, დაახლოებით 22 საათზე ზუბში მცხოვრებ ლამარა ბენიძის ოჯახში იყო სტუმრობა, ღვინის სმა. ამ დროს მათი სახლის წინ მიმავალი სოფელ მახურაში მცხოვრები ბორის იასონის ძე აკობიძე და მისი ამხანაგი შეიპატიჟეს პურმარილზე. ოჯახში სხვა სტუმრებიც იყვნენ.

მაგიდასთან მოხდა შელაპარაკება. გარეთ გამოსულმა ახალგაზრდებმა დავა გააგრძელეს, ეზოს გამოსასვლელთან სოფელ მახურაში მცხოვრებმა, დამზადების პუნქტის მუშაკმა ბორის იასონის ძე აკობიძემ დანით ყელის მარჯვენა მხარეს დაჰკრა შუქური კაკოს ძე ბენიძე (იმ ოჯახის შვილი, სადაც ქეიფობდნენ), რომელიც ცხოვრობდა წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში და მუშაობდა წყალტუბოს კურორტვაჭრობის მომარაგების ბაზის ინსპექტორად. იგი 16 აპრილს გარდაიცვალა. დამნაშავე დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება.

ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევა

ფერმა ძროხის გარეშე

საკვირველია, მაგრამ მეცნიერებამ მაინც მიაღწია.

ზოგიერთ ქვეყანაში 10 წელზე მეტია, ჩვეულებრივი ბალახისაგან, მისი ქიმიური და მექანიკური დამუშავებით ღებულობენ ხარისხოვან რძეს, 1 ტონა ბალახისაგან—700 კილოგრამ რძეს.

ახლახან შვეციის ფირმის „ალფალავალის" ფრანგულმა ფილიალმა შექმნა სრული ციკლის ავტომატური ფაბრიკა, რომელიც იძლევა მაღალხარისხოვან რძეს და სხვა დიეტურ სასმელებს, რისთვისაც იყენებენ სოიას მარცვალს, 300 კილოგრამის გადამუშავებით მიიღება 1500 ლიტრი პროდუქცია—ასეთი რძის ცხიმიანობა 4 პროცენტია, ეს რძე ადვილად დევნის ადამიანის ორგანიზმიდან ქოლესტერინს, ამავე დროს მას არ აქვს ნატურალური რძის შაქარი, რომელიც აფრიკის, აზიის და ევროპის ასობით მილიონი ადამიანის საჭმლის მომნელებელ ორგანოებს უარყოფითად აღიზიანებს და მონელებას აძნელებს. სოიას მარცვალს აცლიან გარეკანს, ალბობენ თბილ წყალში, ასუფთავებენ და შემდეგ ყველა ოპერაციას მანქანა ასრულებს, ამ სახის ფაბრიკის დანადგარს უკავია 2-3 კვადრატული მეტრი ფართი და იძლევა 250 ლიტრ რძეს ყოველ საათში.

ერთი ტონა სოიას მარცვლისაგან მზადდება 5000 კილოგრამი პროდუქცია მაშინ, როცა საფრანგეთში ერთი ძროხის წლიური წველადობა 4000 ლიტრს შეადგენს. ფაბრიკის პროდუქცია ძალიან იაფია.

სოიას მოსავლიანობა საზღვარგარეთის ქვეყნებში მაღალია. კანადაში 1 ჰექტარზე იგი შეადგენს 10-დან 15 ტონამდე. ჩვენთან კი სოიას საჰექტარო მოსავლიანობა ძალზე დაბალია.

ჯ. სალინაძე.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ნინო იორამის ასულ ჩარკვიანს

ზაურ ნიკოს ძე ტვილდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ულევი სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი მარადჟამს. შვილთა სიმრავლეს დაემშვენებინოს თქვენი შექმნილი ქართული ოჯახი.

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები.

ნინო დადაშის ასულ ლეშკაშელს

ნუგზარ ჟორას ძე სიდაბაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს. დაე, მრავალი შვილი გაგეზარდოთ ერის საკეთილდღეოდ.

ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები.

თამარ შოთას ასულ კოპალიანს

ტარიელ გერსის ძე თვარაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ მტკიცე, ფუძლიერი ოჯახის შექმნას.

რაიცენტრის აფთიაქის თანამშრომლები.

გილოცავთ

ნაზიკო ჩახულიანს

გილოცავთ ძმისშვილის ბედნიერებას. კვლავაც მრავალი სიხარული გენახოთ.

განათლების განყოფილების თანამშრომლები.

ნელი ბიძინას ასულ ყურაშვილს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ კვლავ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს. ნუ მოგკლებოდეს ქართველქალობის ხიბლი და ტვირთი.

ლალი ჯიქია, თალიკო სილაგაძე, ლალი ჩხეტიანი, ციცო ბურჯალიანი, ნათელა გოლეთიანი.

მთვარისა, ასკალონ მურცხვაძეებს

გილოცავთ ვაჟიშვილის ბედნიერებას.

ციცო სადილიანი, აზა ირემაძე, მედიკო ნემსწვერიძე, ნანა ხეცურიანი, ბელა ლეთოდიანი, ნათელა, მაგული, ფოთოლა კოპალიანები, მაყვალა, დალი ბენდელიანები.

ინეზა ალექსანდრეს ასულ მოლოდინაშვილს

გილოცავთ საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდების მონიჭებას. გისურვებთ კვლავაც არაერთი წარმატება მოგეტანოთ ერისა და მამულისათვის.

რუსიკო შკუბულიანი, ნანი შენგელია.

ციცო ბიჭიკოს ასულ კოპალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. დაე, გაზაფხულივით ლამაზი და ნათელი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების გზა.

ცაგერის საშუალო სკოლის X-ა კლასის მოსწავლეები.

დედა ლამარა, მეუღლე ბელა, შვილი თამთა, ძმა მამუკა, რძალი ფიქრია, ძმისშვილი აკაკი, ბებიები ვერა, ნინა, კლავდია, სიდედრი ნაზი, სიმამრი ბიჭიკო, ცოლისდა ლელა, ცოლისძმა გელა მამარდაშვილები, მამიდები ლამარა, ნორა, ქუქუნა, ბიძები კუქური, მიშა ახვლედიანები, გრიშა მეძველია, დეიდები ქუქუნა, გუგული, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუქური (კიკა) კაკოს ძე ბენიძე.

დაკრძალვა 24 აპრილს, სამშაბათს სოფ. ზუბში.

რაისაავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურა ცხვედიანს მაზლის

აკაკი ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

კომკავშირის ცაგერის რაიკომის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მირიან ჩიქოვანს ბებიის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

თინა ყურაშვილი, ჯანუბი ხვადაგიანი, კარლო ასლანიკაშვილი, ზაურ ბობოხიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა ჩიქოვანი.

ამირან ჩახულიანი, ნანი, კუკური, კაკო ჩარკვიანები, ნელინე სალინაძე, ჭიჭიკო, პავლე, გურამ კოპალიანები, გია ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ არსენის ძე სალინაძე.

რამაზ ახვლედიანი, შუქური ყუბუსიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ალეკო ჩიქოვანს დედის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, ტექბიუროს, სახლმმართველობისა და ლაბორატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქუქუნა და დალი ახვლედიანებს

შუქური კაკოს ძე ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მაყვალა და ალეკო ჩიქოვანებს დედამთილისა და დედის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

ჯიბილო, ამირან ასათიანები, ბუდუ ომანაძე, ლალაკო მინდაძე, ჯემალ კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლია გულბანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მირიან ჩიქოვანს ბებიის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

ზურაბ შოთას ძე ომანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

შუქური (კიკა) კაკოს ძე ბენიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ არსენის ძე სალინაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბებია გოგუცა, ბიძა ომარ ბენდელიანები, სერაპიონ, მიშა, გელა ახვლედიანები, პიერ ფუტკარაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუქური (კიკა) ბენიძე.

ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი გიორგის ძე ცხვედიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელა, მელსი ყურაშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ მაყვალა კოპალიანს და ალეკო ჩიქოვანს დედამთილისა და დედის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

რაისაბჭოს აღმასკომის აპარატისა და რაისტატისტიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალეკო ჩიქოვანს დედის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

ანზორ, თეიმურ, მიშა ბენიძეები, ვაჟა კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუქური (კიკა) კაკოს ძე ბენიძე.

ზუბის საშუალო სკოლის 1977 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუქური კაკოს ძე ბენიძე

გუშერი, შიო ბენიძეები, ლევან სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუქური ბენიძე.

მეზობლები ვლადიმერ ხეცურიანი, ელგუჯა ქარსელაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლია ზურაბიანი-გულბანი.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელი მდივნის—22-8?, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-86, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.